ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

28 (9919) • 11 ivlisi • 2011 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

მუნიციპალიტეტმა შეჭირვებულ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები შეუძინა

მარი კოძოევი

პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც უსახლკარო, შეჭირვებული ოჯახების დახმარებაა გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო. პირველ ეტაპზე მათ საცხოვრებელი სახლი სოფ. მთისპირში მცხოვრებ, მეწყერით დაზარალებულ შუშანა შავაძეს და შრომელ ვლადიმერ სანინიშვილს შეუძინეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 5 ივლისს გამართულ ბრიფინგზე განუცხადეს.

გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი და გამგებელი გია ტაკიძე აღნიშნულ ოჯახებს ესტუმრნენ და ახალმოსახლეობა პირადად მიულოცეს.

ახალშეძენილ სახლებში, ახალ მეპატრონეებთან შეხვედრისას ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ უსახლკარო ოჯახების დახმარება და საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება მომავალშიც გაგრძელდება.

ვალერი ჩიტაიშვილი: – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სოციალურ პროექტებს ახორციელებს. ერთ-ერთი უსახლკარო ოჯახებისათვის სახლების შეძენას გულისხმობს. ამჯერადაც ორ მრავალსულიან ოჯახს შევუძინეთ სახლი. მნიშვნელოვანია, რომ მათ აღარ აქვთ არც უსახლკარობის პრობლემა და თან აქვთ მიწის ნაკვეთები, რომელზეც შეუძლიათ მოსავლის მოყვანა. ჩვენთვის მთავარი იყო იმ ოჯახებს დავხმარებოდით, რომლებიც მრავალსულიანები არიან და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ. მომავალშიც გავაგრძელებთ პროექტის განხორციელებას და პრიორიტეტი კვლავ ყველაზე მეტად შეჭირვებულ ოჯახებს მიენიჭებათ.

ალეკო მამეშვილი: – ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრია ოჯახი, რომელსაც სტიქიური უბედურების თუ სხვა მიზეზების გამო საცხოვრებელი ფართი არ აქვთ და რთულ მდგომარეობაში არიან. ამიტომ დახმარებაზე მოთხოვნა ძალიან დიდია. მსურველებისაგან შერჩევა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით მოხდა. უპირატესობა მიენიჭათ სოციალურად დაუცველ, მრავალსულიან და ისეთ ოჯახებს, რომელთაც ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

გია ტაკიძე: – შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სწავლობს უსახლკარო ოჯახების მდგომარეობას. სამწუხაროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი ოჯახი ბევრია, ზოგიერთ მათგანს, სანამ საბოლოოდ გადავწყვეტთ პრობლემას, ბინის ქირას ვუხდით. ამ ეტაპზე მოვახერხეთ ორი სახლის შეძენა მთისპირში და გურიანთაში. კომისია აგრძელებს მუშაობას, თანხები ჯერ კიდევ გვაქვს, რომ ამ წელში რამდენიმე სახლი შევიძინოთ.

რაც შეეხება სახლების შეძენის გადაწყვეტილებას, გასული წლების პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ფულადი დახმარებების გადაცემამ არ გაამართლა. ბოლო 3-4 წლის მანძილზე ორმოცდაათ ოჯახს გადავეცით სხვადასხვა რაოდენობის თანხა 500-დან 5000 ლარამდე, მაგრამ ვერ იქნა მიზანმიმართულად გამოყენებული. ფული სხვა მიზნებისათვის დახარჯეს. ამიტომ საკრებულოსთან ერთად მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, თუ ვეხმარებით, დავეხმაროთ ბოლომდე. შეიძლება ამაში მეტი თანხა დაიხარჯოს, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდება პრობლემა.

გვ-2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „უმრავლესობა" და ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია პროტესტს გამოთქვამს 6 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გოჩა ჩხაიძის არაეთიკურ, ამასთანავე ,უკანონო ქმედებაზე და მომხდარს მისი მხრიდან საკრებულოს სხდომის ჩაშლის მცდელობის კვალიფიკაციას აძლევს.

,, ჩვენ დეტალურად არ შევუდგებით იმ ბილწსიტყვაობებისა და უხამსი გამოთქმების მოხმობას(რაც ალბათ, ყოველდღიური ლექსიკური მარაგია ზემოთ ნახსენები დებოშიორი ე.წ.პოლიტიკოსისათვის), ,,თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ადგილობრივი ლიდერის, გოჩა ჩხაიძის მხრიდან მმართველი პარტიის, ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისა და თითოეული ჩვენგანის მიმართ სხდომაზე რომ გაისმა, რადგან ნამდვილად გაგვიჭირდება ბატონ გოჩა ჩხაიძის, როგორც პოლიტიკოსის სერიოზულად მიღება. ვეჭვობთ, დღესდღეობით სხვა ვინმეც აღიქვამდეს მას ან მის შეფასებებს სერიოზულად, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია, კორექტულობისა და ზნეობრიობისაკენ მოვუწოდოთ იმ პარტიას, რომლის სახელითაც ეს ადამიანი საუბრობს. იმედს გამოვთქვამთ, რომ პარტია ,,თავისუფალი დემოკრატები"სათანადოდ შეაფასებს და ადეკვატური იქნება მომხდარის მიმართ.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ, რომ ვრჩებით ნებისმიერი პარტიული პოზიციისა და ხედვის მიმართ ლიბერალური, ასევე, პარტიული კუთვნილების განურჩევლად ,ელემენტარული ადამიანური ეთიკისა და ზნეობის პატივისმცემელი, რაც ამავდროულად გვაიძულებს ვურჩიოთ ,, თავისუფალ დემოკრატებს", მეტი გულისყურით გადახედონ ოზურგეთში პარტიის სიით შემადგენლობას, ეგებ მასში არა მარტო ,,რაიონის მაოხრებლის" სახელით ცნობილი ძველი ჩინოსნები და საქმოსნები, არამედ წარსულში კრიმინალური ბანდების წევრი ,,ავტორიტეტებიც" აღმოჩნდნენ . ,,თავისუფალი დემოკრატებისთვის მიუღებელი უნდა იყოს ისეთი ხალხის რეაბილიტაცია და პოლიტიკურ ფიგურებად ქცევის სურვილი, რომლებიც წლების მანძილზე საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და მის უსაფრთხოებას. ასეთებისთვის გზის გახსნა და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოყვანის ყოველგვარი ცდა არანაკლები საფრთხის შემცველი იქნება დღესაც და მომავალშიც, და რაც მთავარია, თავშივე მარცხისთვისაა განწირული. შესაბამისად, პარტიისათვის, რომელიც საკუთარ ,,დემოკრატიულ იმიჯს", როგორც თვითონ აღნიშნავს ხოლმე, განსაკუთრებით უფრთხილდება, კრიმინალების ლეგიტიმაცია შესაძლოა დამანგრეველი აღმოჩნდეს .

გვერწმუნეთ, ასეთებს ერისკაცებისა და ხალხისთვის წამებული რაინდების მანტიას არავინ მოასხმევინებს, რადგან ხალხს მოკლე მეხსიერება არ აქვს და მწარედ ახსოვს ხელისუფლების კრიმინალიზაციის შედეგები. ჩვენი საზოგადოების განვითარების დონე იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ დღეს არსებული პრობლემებისადმი ადამიანების მგრძნობელობა მავანთა ხელში პოლიტიკური ქულების დაგროვების ცინიკურ იარაღად არასდროს იქცევა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ უმრავლესობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

დ

გუბერნატორმა ურეკში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

გურიის გუბერნატორმა ვალერი ჩიტაიშვილმა სპეციალურ თათბირზე გურიის სამივე მუნიციპალიტეტის გამგებელს დავალებები მისცა და სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმებას დაპირდა. რამდენიმე დღეში მან დანაპირები შეასრულა და დაბა ურეკში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები შეამოწმა

გვ-2

სხდომა ხმაურიანი გამოდგა

საკრებულოს ერთი წელი შეუსრულდა

გასული კვირის ოთხშაბათს, ოზურგეთის საკრებულოს რიგით მე-20 სხდომაზე რომელიც წინა სხდომებთან შედარებით ხმაურიანი გამოდგა, „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე თემურ სალუქვაძემ ბოლო დღეებში რელიგიური კონფენსიებისადმი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს პატრიარქის განცხადება შეახსენა საზოგადოებას და საკრებულოს პოზიციის დაფიქსირებისაკენ მოუწოდა

გვ-2

სხდომა ხმაურიანი გამოდგა

საკრებულოს ერთი წელი შეუსრულდა

მარი კოძოევი

– „საკითხის ირგვლივ არის ძალიან ბევრი დეტალი, რომელიც განსჯადია, შესათანხმებელია როგორც საპატრიარქოსთან, ასევე ხელისუფლებასთან. ამიტომაც გაკეთა საპატრიარქომ განცხადება, რომ საკითხი მოუმზადებელია, საჭიროა სპეციალური კომისიის ჩამოყალიბება. – განაცხადა თემურ სალუქვაძემ. მან კოლეგებს თხოვა დაფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია ამ კანონთან დაკავშირებით, თუმცა დეპუტატებმა იმ მოტივით, რომ არაფერი სმენიათ აღნიშნული კანონის შესახებ, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისაგან თავი შეიკავეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა „თავისუფალი დემოკრატების“ ადგილობრივ ლიდერს მსგავსი განცხადებების გაკეთებისაგან თავის შეკავება ურჩიეს.

თემურ სალუქვაძის განცხადების შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დაიწყო. მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დეპუტატებს, დამსწრე საზოგადოებას გასული ერთი წლის ანგარიში წარმოუდგინეს.

საკითხების განხილვას სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრ გოჩა ჩხაიძესა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შორის

გია ტაკიძემ ბიუჯეტზე, სოფლის განვითარების პროგრამაზე და გამგეობის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე ისაუბრა. ალეკო მამეშვილმა კი საკრებულოს სამართლებრივ და ორგანიზაციულ საკითხებზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე და საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება. საკრებულოს თავმჯდომარემ წარმატებულად შეაფასა აიპ-ების საქმიანობა და საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობის შედეგები.

– „ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანებს ჰქონდეთ განცდა, რომ მათ მიერ მოწოდებული წინადადებები და მოსაზრებები იქნება გათვალისწინებული. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საზოგადოების აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ – თქვა მამეშვილმა.

სწორედ ანგარიშის წარდგენის დროს დარბაზში მყოფმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ საკრებულოს და გამგეობას მუშაობა დაუწუნა. მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ფასადური უწოდა.

–„ადგილობრივი ხელისუფლება არასდროს არ ითვალიწინებს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების დაყენებულ არცერთ საკითხს, ეს იქნება ბიუჯეტთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, როცა ვთქვი, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციას გამოყოფილი თანხა დიდი ოდენობით არ ესაჭიროება, გაუორმაგეს თანხა“ – გვითხრა მან.

„თავისუფალი დემოკრატები" თემურ სალუქვაძის განცხადება:

პირველ რიგში, მინდა დავადასტურო ჩვენი, „თავისუფალი დემოკრატების" ღრმა პატივისცემა ყველა ტრადიციული კონფესიის მიმართ.

ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები, რომელიც ეხება კონფესიებისადმი სტატუსის მინიჭების საკითხს, ცხადყოფს, რომ არსებული ხელისუფლება, „ნაციონალური მოძრაობა,"თავისი ქმედებებით ავლენს არაქართულ, არასახელმწიფოებრივ ხასიათს.

უგულებელყოფილია საქართველოს ეკლესიის, კათოლიკოს პატრიარქის წინადადება. პარლამენტმა ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება არ ემსახურება, როგორც საქართველოს დედა ეკლესიის, ასევე სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს. ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, დაუშვებელია საქართველოს საპატრიარქოსა და საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე.

ჩვენ, ყველანი მომსწრენი ვართ ხელისუფლების მიერ განხორციელებული არაერთი არასწორი ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს, მაგრამ ეს ქმედება განსაკუთრებულია თავისი მნიშვნელობით.

მე, როგორც საკრებულოს დეპუტატი „თავისუფალი დემოკრატების" სახელით გამოვთქვამ პროტესტს და ვუერთდები საპატრიარქოს მოთხოვნას. მოგიწოდებთ, რომ საკრებულომ დააფიქსიროს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მივმართავ ეგრეთ წოდებულ „ნაციონალურ მოძრაობას", მის წევრებსა თუ მხარდამჭერებს, გააკეთონ ანალიზი, გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები და მიხვდნენ, თუ რას ემსახურებიან.

ადრე თუ გვიან ყველამ თვალი უნდა გაუსწოროს სიმართლეს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სდკ ოზურგეთისა და ჩოხატაურის ბიუჯეტებს განიხილავს

გასული კვირის პარასკევს, საქართველოს დემოკრატიული კავშირში ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების 20-10-2011 წლების საქმიანობა შეაფასეს. შეხვედრაზე საკრებულოების საქმიანობის გამჭირვალობის ხარისხი და ბიუჯეტი განიხილეს.

დემოკრატიული კავშირის წევრის ირაკლი პაპავას თქმით, დადგენილი წესით არ ხდება საზოგადოების ინფორმირებულობა საკრებულოს სხდომის, ნორმატიული აქტების და საზოგადოებრივი დარბაზის ფუნქციონირების შესახებ.

კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძემ დაწვრილებით ისაუბრა იმ დეტალებზე, რაზეც ორგანიზაციის წევრებს ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან განსხვავებული პოზიცია აქვთ. მათ მიერ მოძიებულ ინფორმაციაში ჩანს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა იმაზე ბევრად მეტია, რაც კანონით არის დაშვებული. ისაუბრა ასევე იმ თანხების რაოდენობაზეც, რაც გამოყოფილია ტრანსპორტის და საკანცელარიო ხარჯებზე, ასევე ხელფასების და პრემიების დასაფარად, თურმე ჩვენს მუნიციპალიტეტში შტატგარეშე თანამშრომლის საშუალო ხელფასი შეიძლება აღემატებოდეს შტატით მომუშავე საშუალო ხელფასს. რაც წესით დაუშვებელია.

ამ და სხვა საკითხების დეტალურად განხილვის შემდეგ დემოკრატიულ კავშირში გვითხრეს, რომ მონიტორინგს აღნიშნული კუთხით კვლავაც გააგრძელებენ და შედეგებს მასმედიას გააცნობენ.

გუბერნატორმა ურეკში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

მარი კოძოევი

გურიის გუბერნატორი მხარის საზღვაო კურორტს პარლამენტის დეპუტატ გოჩა შანიძესთან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან და ჟურნალისტებთან ერთად ესტუმრა.

მათ ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა ზღვაზე გასასვლელების მონახულებით დაიწყეს. ეს სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება, იგი მთლიანად ფილაქნით მოიფინება და 58 მ. სიგრძისა და 11 მ. სიგანის იქნება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „კონცეპტი“ ასრულებს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა კურორტის ცენტრალური გზის ის ნაწილი დაათვალიერეს, რომელიც ავარიული იყო და სულ ცოტა ხნის წინ ასფალტის საფარით დაიფარა. როგორც გვითხრეს, გზის დანარჩენი ნაწილის მოასფალტება მომავალ წლამდე გადაიდება, რადგან მანამდე უნდა მოწესრიგდეს წყლისა და კანალიზაციის გაყვანილობები.

გუბერნატორი პლაჟზე არსებული მდგომარეობითაც დაინტერესდა. როგორც მას უთხრეს, სანაპიროს ოზურგეთის დასუფთავების სამსახური ორი ერთეული ტექნიკით ინტენსიურად წმენდს. ცოტა ხანში კი დამატებითი მუშახელის ჩაყვანა იგეგმება. სანაპიროზე მობილიზებულია სამაშველო სამსახური, სულ 14 მაშველი.

– ჯერ არ არის სამუშაოები ბოლომდე დამთავრებული. სანამ დამთავრდება, კიდევ რამდენჯერმე მოვინახულებ აქაურობას. პირველი შედეგებით კმაყოფილი ვარ – გვითხრა ჩიტაიშვილმა.

– რა დავალებებიც მივიღეთ გუბერნატორისაგან, ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, ნელ-ნელა ვასრულებთ. შევაკეთეთ შიდა მნიშვნელობის გზა კაპიტალურად, ნაწილობრივ ორმულად. პარალელურად მიდის მოხრეშვითი სამუშაოები, კეთდება განათებები, სულ მალე კი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოები დაიწყება, რომელსაც ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად ვახორციელებთ. ასევე მიმდინარეობს შეღობვითი და არხების გაწმენდის სამუშაოები – აღნიშნა ჟურნალისტებთან გია ტაკიძემ.

ურეკის დათვალიერების შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაბა ლაითურს ესტუმრნენ. ლაითური ერთ-ერთი ტერიტორიული ორგანოა, სადაც სოფლის მხარდამჭერი პროგრამის პირველი ნაწილი უკვე განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში სარიტუალო დარბაზი გარემონტდა.

ლაითურში პროგრამის მეორე ნაწილი სასაფლაოს შეღობვას, სტადიონისა და მოსაცდელის გაკეთებას ითვალისწინებს.

ხელისუფლებასთან შეხვედრისას ლაითურლებმა ყველაზე მწვავედ წყლის საკითხი დააყენეს, მაგრამ უწყლობის პრობლემის მოგვარება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. აღინიშნა ისიც, რომ ლაითურში ქალაქთან დამაკავშირებელი ტრანსპორტის პრობლემაც მწვავედ დგას.

მუნიციპალიტეტმა შეჭირვებულ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები შეუძინა

როგორც მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურში ამბობენ, დახმარების მსურველი ოჯახებიდან აღნიშნული ორის დაკმაყოფილება რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით მოხდა. პრიორიტეტი მიენიჭა სოციალურად დაუცველ, მრავალსულიან და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის უქონელ ოჯახს.

შუშანა შავაძის მრავალსულიანი ოჯახი გურიაში 22 წლის წინ ხულოდან ჩამოვიდა, მას აქაური საცხოვრებელი სახლი მეწყერმა დაუნგრია.

– „13 ადამიანი ღია ცის ქვეშ ვიყავით დარჩენილები, 7 შვილი და 18 შვილიშვილი მყავს, პატარა შვილიშვილი ორი თვისაა, მალე კიდევ ერთ შვილიშვილს ველოდებით, – გვითხრა შუშანა შავაძემ. მას საცხოვრებელი სახლი ძველი, დანგრეული სახლის მეზობლად შეუძინეს, რომელსაც 1 ჰექტარი მიწის ფართობი აქვს.

რაც შეეხება ვლადიმერ საინიშვილს, მას სახლი სოფ. გურიანთაში შეუძინეს 0.5 ჰა მიწის ნაკვეთით. ხელისუფლებამ შავაძეების სახლი 5000-ად, ხოლო საინიშვილების 12 000 ლარად შეუძინა.

ცნობისათვის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია უსახლკარო- შეჭირვებულ ოჯახთა ერთიანი ბაზა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათზე დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია 50000 ლარი. აღნიშნული პროგრამა გრძელდება და წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ოჯახი დაკმაყოფილდება ეტაპობრივად.

რა ღონისძიებები ტარდება ამერიკული თეთრი კბილას წინააღმდეგ?

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვალში საცემია ამერიკული თეთრი პეპლების მომრავლება. „სასწრაფო ზომებია მისაღები, თორემ პეპლები გაანადგურებს მცენარეებს“ – ამბობენ ოზურგეთში.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტს ლალი გოგუაძეს მივმართეთ, რომლის ინფორმაციით, მცირე მასშტაბების სამუშაოები ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია, რაც „ტიფას“ ტიპის შესაწამლი დანადგარებით ხორციელდება. მომდევნო დღეებში სამუშაოების მასშტაბები გაფართოვდება. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფინანსური დახმარებით მათ ექნებათ სოლო აპარატები, რომლის საშუალებითაც მოიცავენ არამარტო ქალაქს, არამედ სოფლებსაც.

ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი ოზურგეთში

ნუგზარ ასათიანი

ბოლო ოცი წელია საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნების თემა და საზოგადოებაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა. არჩევნების გაყალბება იყო მთავარი მოტივი, რასაც „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა, თუმცა საარჩევნო პრობლემები კვლავ აქტუალურია.

გასულ ხუთშაბათს, ოზურგეთში ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი ჩამოვიდა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ჟურნალისტებს შეხვდა.

ზურაბ ხარატიშვილმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მომავალი არჩევნებისას, რეგიონებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონალური მედიის ჩართულობას და ცესკო მჭიდროდ ითანამშრომლებს მათთან.

—გვინდა გაგაცნოთ, რა გეგმები გვაქვს, მოვისმინოთ თქვენი შენიშვნები, რომ მომდევნო არჩევნები (მან 2012, 2013, 2014 წლების არჩევნებს „კასკადი“ უწოდა) უკეთესად ჩატარდეს. ამ არჩევნებმა უნდა დაანახოს დასავლეთს, არის თუ არა შემდგარი სახელმწიფო—თქვა ზურაბ ხარატიშვილმა.

ცესკო თვლის, რომ შეიქმნას საარჩევნო რესურსცენტრები რეგიონებში, სადაც იქნება შეხვედრის ადგილები, რათა ამომრჩევლები უფრო კარგად იცნობდნენ საარჩევნო სიახლეებს, გაიმართოს შეხვედრები, ტრენინგები; უნდა შეიქმნას აქტიური ამომრჩევლების ქსელი და ა.შ. ცესკო არასამთავრობო ორგანიზაციების მეტად ჩართვას საარჩევნო პროცესში საგრანტო კონკურსის გააქტიურებით გეგმავს.

სახელმწიფოსა და ოპოზიციას შორის მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით (როგორც იცით ოპოზიციური „რვიანისაგან“ შეთანხმებას მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატებმა და ახალმა მემარჯვენეებმა მოაწერეს ხელი) ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა, რომ შეთანხმებას უკვე 9 პარტიამ მოაწერა ხელი, სადაც წინა არჩევნებისას ეუთოს 35 რეკომენდაციიდან მნიშვნელოვანი საკითხებია გათვალისწინებული. რაც შეეხება ოპოზიციური „რვიანის“ დარჩენილ „ექვსეულს,“ ისინი არჩევნებისას 3700 უბანზე ბიომეტრულ ანაბეჭდებს ითხოვდნენ, რაც ძალიან რთულია და არც ეუთოს რეკომენდაციის 35 ჩამონათვალში არ იყო გათვალისწინებული. პარტიას უნდა ჰქონდეს შნო, რომ ერთგული ადამიანი ეჯდეს უბანზე და რომ გაძლიერდნენ სასურველია პარტიების რაოდენობა შემცირდეს.

შეხვედრაზე სხვა თემებზეც იყო საუბარი. მათგან ერთ-ერთი ის იყო რომ საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისი დატოვებს ოზურგეთის „თეთრი სახლის“ შენობას და არაადმინისტრაციულ შენობაში დაიდებს ბინას.

ვილოცავთ!

შალვა შავიშვილი 90 წლისაა

ღირსეული ადამიანი, დიდი კაცი - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაღალი პროფესიონალიზმით, ცნობილი ექიმი და ყველასათვის საყვარელი პიროვნება — ბ-ნი შალვა შავიშვილი იუბილარია!

12 ივლისს, პეტრე-პავლობას, 90 წელი უსრულდება ადამიანს, რომლის ცხოვრება და მის მიერ გავლილი გზა ნათელი მაგალითია ზნეკეთილობის, კაცურკაცობის, პატიოსნების და განსაკუთრებული გულისხმიერების, რის გამოც, სიყვარულით მას „ღ უ ღ უ ნ ი“ უწოდა ხალხმა.

ბატონო შალვა!

გილოცავთ დაბადების დღეს და საუკეთესო სურვილებით ვუერთდებით თქვენს საიუბილეო განწყობას.

დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანის სიმრთელეს, სულის სიმტკიცეს და უამრავ სიხარულს გისურვებთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი ცოდნითა და გამოცდილებით კვლავაც დიდხანს სჭირდებით საზოგადოებას!

მადლიერების გრძნობით,
დიდი სიყვარულით და უღრმესი
პატივისცემით

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის კოლექტივი

დანიის ლტოლვილთა საბჭოს წარმომადგენლები ოზურგეთს სტუმრობდნენ

მარი კოკოევი

დანიის ლტოლვილთა საბჭოს გამოცხადებული აქვს კონკურსი მცირე და საშუალო ბიზნესის გრანტების მოსაპოვებლადი დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში, მათ შორის გურიაში. სწორედ გრანტის მიღების მსურველებთან შეხვედრა იყო მათი სტუმრობის მიზანი ჩვენს მუნიციპალიტეტში. სტუმრებმა დაინტერესებულ პირებს პროექტის არსი, მიზანი, პირობები გააცნეს და მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს. როგორც სტუმრებმა განაცხადეს, გრანტი უნდა გაიცეს იმ პირებზე, რომლებიც მინიმუმ 2 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ და საქართველოში დაბრუნდნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში.

გრანტის მაქსიმალური თანხა 3000 ევროა და იგი საწარმოო საშუალებების შეძენას უნდა მოხმარდეს.

ცნობისთვის: დანიის ლტოლვილთა საბჭოს სათაო ოფისი კოპენჰაგენშია. ორგანიზაციას საქართველოს 40 რაიონში რამდენიმე ოფისი აქვს და ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობს

გამოფენა ღია ცის ქვეშ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლამ სასწავლო წლის ბოლოს კიდევ ერთი გამოფენა მოაწყო. ამჯერად მოსწავლეებმა „ჭადრების ბაღში,“ ღია ცის ქვეშ მოაწყვეს გამოფენა და 20 ბავშვის 25 ნამუშევარი წარმოადგინეს.

სამხატვრო სკოლამ უკვე ტრადიციად აქცია, რომ წლის ბოლოს საზაფხული პრაქტიკულს თემების მიხედვით აწყობენ. ამჯერად გამოფენის თემა „ჩემი ქალაქი“ იყო.

სასწავლო წლის დასრულებას დაემთხვა იმ პროექტის დასრულებაც, რომლის ფარგლებში 5 თვის მანძილზე ჩეხი კამილა სიროტინა სკოლის მოსწავლეებს დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების დარგში ევროპულ გამოცდილებას უზიარებდა. ამ პროექტს სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო ახორციელებს.

—უღრმესი მადლობა მოხალისე კამილა სიროტნას ჩვენთან გაწეული მუშაობისათვის, ასევე მადლობას ვუხდით სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს ხელმძღვანელს კახა ლომაძეს ჩვენთან მრავალწლიანი თანამშრომლობისათვის. იგი სისტემატურად აგზავნის სკოლაში სხვადასხვა პროექტით მოხალისეებს. ასევე ჩვენი მოსწავლეებიც მონაწილეობენ მათ პროექტებში“— გვითხრეს სამხატვრო სკოლაში.

გაფხულის მხიარული დღეები

ნინო ნიკოლაიშვილი

კიდევ ერთი სასწავლო წელი მიითვალა სასკოლო ცხოვრებამ და მომავალი სასწავლო წლის სტარტის მოლოდინში მიწყნარდა დროებით. თუმცა ოზურგეთის №5 (ანასეულის) საჯარო სკოლის კედლებს კვლავ ახმიანებდა ბავშვების ჟრიამული. აქაურ მოსწავლეებთან ერთად, ხალისიანი, შემეცნებითი, საინტერესო ორი კვირა გაატარეს ქ. ბათუმის, ოზურგეთის №2, ნარუჯის საჯარო სკოლათა მოსწავლეებმა.

პროექტი სახელწოდებით, „ზაფხულის სკოლა“, რომლითაც ეს მშვენიერი ღონისძიება ჩატარდა, №5 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ქეთევან ქადიეშვილმა შეადგინა. იგი დააფინანსა ფონდმა „ჰარმონიამ“. კონსულტანტი და შუამავალი ორგანიზაცია გახლდათ ოზურგეთის ახალგაზრდული რესურსცენტრი. ასევე საინტერესო იყო თანადამფინანსებელთა მონაწილეობა პროექტში.

ერთმანეთს ენაცვლებოდა სკოლაში ჩატარებული შემეცნებით-გასართობ-სპორტული ღონისძიებანი. მოსწავლეთა სამოქალაქო განათლებაზე მასწავლებელმა ლილი მენაბდემ თეატრალიზებული ღონისძიება ჩაატარა; შეხვედრები საინტერესო, ცნობილ ადამიანებთან, დარგის სპეციალისტებთან. პროფესორი ზაურ გაბრიჩიძე ბავშვებს მსოფლიო გლობალიზაციის პრობლემებსა და ამ პრობლემების ფონზე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე ესაუბრა. ექიმმა მერი ჩხაიძემ ნარკოლოგიასა და წამალდამოკიდებული ადამიანის პრობლემებზე ჩაატარა ლექცია. ასოცირებულმა დოქტორმა ქეთევან ჩიკაშუამ ბიოლოგიური საკითხებით დაინტერესა ბავშვები. მსახიობმა ბელა კიკვაძემ ლიტერატურული შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორმა ავთანდილ სირბილაშვილმა მხიარული სტარტების მონაწილენი გახადა ისინი. ამ პერიოდში სამი ექსკურსიით მოინახულეს აჭარა, სამეგრელო, იმერეთი. ლაშქრობა მოაწყვეს ლიხაურის ცისზე, დათვალიერეს ლიხაურის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის მუზეუმი.

ღონისძიების ბოლოს, პრეზენტაციაზე, ქეთევან ქადიეშვილმა შემაჯამებელი ინფორმაცია წარმოუდგინა მოწვეულ სტუმრებს, რომელთა შორისაც ბავშვების მოთხოვნით იმყოფებოდნენ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მმართველი ზაზა ჯინჭარაძე და მსახიობები. მონაწილე და გამარჯვებული ბავშვები სპეციალური სერთიფიკატებითა და სიგელებით დაჯილდოეს სხვადასხვა ნომინაციაში. რომლის დამზადებაში მათ დაეხმარა ოზურგეთის განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე როზა გოგუაძე. ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს ამ ლამაზი დღეებისათვის პროექტის ხელმძღვანელს, ქეთინო მასწავლებელს, სამოქალაქო განათლების მასწავლებელს ლილი მენაბდეს; სკოლაში კარგი პირობების შექმნისა და თანადგომისათვის სკოლის დირექტორს მერი საბაშვილს. ყველა სტუმარს, რომლებმაც საინტერესო დღეების თანამონაწილე გახადა ისინი.

ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: მერი საბაშვილმა; მასწავლებელმა ეთერ აბაშიძემ, ზაზა ჯინჭარაძემ, ნარუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა მედეა ობოლაძემ, ავთანდილ სირბილაშვილმა.

— ერთია, როგორ დაწერ და წარმოადგენ პროექტს, მეორეა როგორ განახორციელებ მას — აღნიშნა ახალგაზრდული რესურსცენტრის წარმომადგენელმა, თამარ ღლონტმა, რომელმაც განხორციელებული მუშაობა კარგად შეაფასა და მორიგი წარმატებები უსურვა პროექტის მონაწილეებს.

გიორგი ბუხრიკიძე II ადგილზე

საქართველოს უნივერსიადაზე ჭიდაობა ძიუდოში ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი გიორგი ბუხრიკიძე გამოდიოდა. გიორგი 60 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და II ადგილი დაიკავა.(მწვრთნელი გოჩა ბურჭულაძე).

მადლობა მაშველებს

ღვთის შეწევნითა და მამიკოს მეგობრების უანგარო დახმარებით წყლის უზრამაზარი მილი უნდა აღმართულიყო ჩვენს ეზოში, რაც ძალიან გაჭირდა. რომ არა სამაშველო სამსახურის (ჯგუფის უფროსი ა. ვაშალომიძე) ძლიერი და კეთილი ბიჭები, ვერ შევძლებდით. მადლობა მათ უანგარო ერთგულებისათვის.

გიორგი, ლუკა და იოანე კონტრიძეები.

თამაზ სალუქვაძის ხსოვნას

უნიკალურად სრულყოფილი პიროვნება

კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ოზურგეთის რაიონის, გურიის მხარისა და სრულიად საქართველოს ინტელიგენციამ. 81 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, წარმატებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ბატონი თამაზ ივანეს-ძე სალუქვაძე.

მართლაც რომ საყურადღებო და მნიშვნელოვანია აქტიური და ღრმაშინაარსიანი ცხოვრებისეული გზა, რომელიც ბატონმა თამაზმა გაიარა.

დაიბადა იგი 1930 წლის 21 აგვისტოს, ქ. ოზურგეთში, იმ დროს ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგისა და მხატვრული სიტყვის ოსტატის, ივანე სალუქვაძის ოჯახში, სადაც გენეტიკურად თანდაყოლილ ნიჭთან ერთად, ბავშვობიდანვე ეზიარა შრომისმოყვარეობას, მორალურ-ზნეობრივ სიწმინდეს, ეროვნულ პატრიოტიზმსა და უნიკალურ ქართულ ლიტერატურას.

ამიტომაც იყო, რომ 1949 წელს, ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ, მან სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე და ერთგვარ სიმბოლურადაც უნდა ჩაითვალოს, რომ მისი თანაკურსელები, პირველნი იყვნენ ქართული პრესის ისტორიაში, პროფესიონალი ჟურნალისტები რომ გახდნენ.

1954 წელს, ბატონმა თამაზმა მუშაობა დაიწყო ოზურგეთის (მაშინდელი–მახარაძის) რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქციაში ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ კი, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

სათანადო ორგანოებს ცხადია, ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ უნიჭიერესი ახალგაზრდა კადრის მრავალმხრივი შესაძლებლობები და იგი გადაიყვანეს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთად კორესპონდენტად გურიის რეგიონში.

აღნიშნულ პრესტიჟულ პოსტებზე წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, იგი დაინიშნა ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, გამომცემლობის გამგედ, შემდეგ კი მუშაობა განაგრძო ყაზბეგში რაიონულ გაზეთ „დარიალის“ რედაქტორად.

სავსებით ლოგიკურია, რომ თამაზ სალუქვაძე კვლავ მშობლიურ რაიონში დაბრუნეს, მაშინ მეტად პრესტიჟულ თანამდებობაზე–პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ და აირჩიეს ბიუროს წევრად.

შემდგომში, ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, კვლავ დაუბრუნდა ჟურნალისტურ საქმიანობას და ჩაიბარა ყოფილი „ლენინის დროშის,“ შემდეგ კი უკვე „ალიონის“ რედაქტორის საპასუხისმგებლო პოსტი. სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთის ამ ახალი სახელწოდების ავტორი თავად ბატონი თამაზი გახლდათ.

მაღალორგანიზებულ საქმიანობასთან ერთად, თამაზ სალუქვაძე, მართლაც სამაგალითო იყო ცხოვრების ნებისმიერ სფეროსა თუ დარგში. გამოირჩეოდა როგორც სპეტაკი სულის უპატიოსნესი ადამიანი, კეთილშობილი და მიმტევებელი პიროვნება, ერთგული მეგობრობა ჰქონდა კოლეგებთან, ამხანაგებთან, თანამშრომლებთან... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ქრისტესეული ათივე მცნების ერთგული აღმსრულებელი ბრძანდებოდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს თამაზ სალუქვაძის, როგორც მწერლისა და მხატვრული სიტყვის დიდოსტატის საქმიანობის თაობაზე. წერდა ლექსებს, იუმორისტულ მოთხრობებს, გამოირჩეოდა ჯანსაღი იუმორით. ადვილად ახერხებდა შექმნილი სიტუაციის შესაბამისად უცბათვე შეექმნა კაფიები, ნაკვესები, შაირები...რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული ცოცხალი ანეკდოტების სახით. გამოცემული ჰქონდა რამდენიმე მაღალმხატვრული წიგნი.

ერთი სიტყვით, იყო კაცი, რომლისთვისაც ხალხისა და ქვეყნისათვის ზრუნვა-სამსახური უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა.

სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის გაწეული ღვაწლისათვის თამაზ სალუქვაძე ღირსების ორდენით იყო დაჯილდოებული.

ბატონი თამაზის ასეთ მრავალმხრივ და მაღალეფექტურ საქმიანობაში. როგორც იტყვიან, „ლომის წილი“ შეჰქონდა მის მეუღლეს, ქალბატონ ესმას, რომელიც ქართული ტრადიციების შესაბამისად, ძირითადად თავად აგვარებდა ოჯახურ პრობლემებს და ამით საშუალებას აძლევდა ამაყად მხრებგაშლილს ეცლო მრავალდარგოვან პრესტიჟულ სამსახურებრივ ასპარეზზე.

...და აი, უმკაცრესმა. დაუნდობელმა წუთისოფელმა კიდევ ერთხელ მოგვაყენა უმძიმესი ტკივილი. მაგრამ, ჩვენ მის ახლობლებს და თაყვანიმცემლებს, ნუგეშად ის დაგვრჩენია, რომ თამაზ სალუქვაძის სახით ზეციურ საქართველოს შეემატა კიდევ ერთი დიდი ქართველი და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ იგი ედემის ბინადარი იქნება.

მეგობრების სახელით,
როლანდ თავაძე,
ვეტერანი ჟურნალისტი

ჩემო თამაზ!

მიუხედავად შენი და ჩემი ასაკისა, ძალიან მიჭირს შენზე წარსულ დროში ვისაუბრო, მაგრამ სამწუხაროდ სხვა გზა არაა, რადგან შენ უკვე შეუერთდი მარადისობას.

ჩვენი მეგობრული ურთიერთობა 65 წელიწადზე მეტს ითვლის და ალბათ ადვილი წარმოსადგენია ამ ხნის მანძილზე რამდენი ტკბილი თუ მწარე მოსაგონარი გვაქვს.

ჩემი ღრმა რწმენით, ყოველი ადამიანის სიკვდილის შემდეგ რჩება მხოლოდ მისი სახელი–კაი კაცზე ამბობენ–აქაც კარგი კაცი იყავ, იქ კი ღმერთმა ნათელში გამყოფოსო, ხოლო ცუდი კაცის სულს ჯოჯოხეთში გზავნიან. შენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შენი ცხოვრება პატიოსნებასა და სისპეტაკეში გალიე, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს რაიონში ცნობილ უპატიოსნეს ოჯახში დაიბადე და გაიზარდე.

მამა–ვანო სერელი, ცნობილი პედაგოგი და პოეტი;

დედა–ნადეჟდა ფილიპოვნა (ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ რუსული ენის პედაგოგი გახლდათ);

და–დალი, უცხო ენების სპეციალისტი, პედაგოგი;

ძმა–ლევანი, ინჟინერ-მშენებელი;

მეუღლე–ქალბატონი ესმა, ჟურნალისტი;

შვილი მაიკო და შვილიშვილი თაზო, რომლებმაც შენი ხანდაზმულობისას უდიდესი პატივი მიგაგეს.

ჩვენს რაიონში შენი მოღვაწეობა მაშინდელი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი. აი, მოკლედ იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელიც შენ სხვადასხვა დროს გეკავა:

რესპუბლიკური გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სპეციალური კორესპონდენტი დასავლეთ საქართველოს 7 რაიონში; ჟურნალ „ნიანგის“ სპეციალური კორესპონდენტი გურიის რეგიონში; პარტიის მახარაძის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ბიუროს წევრი (ეს განყოფილება არჩევდა კადრებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასანიშნად); და ბოლოს გაზეთების „დარიალის,“ „ლენინის დროშის,“ და „ალიონის“ რედაქტორი. სხვა ვინმეს ამ თანამდებობებზე მატერიალური კეთილდღეობის მოწყობა შეეძლო, მაგრამ შენ არასდროს წასულხარ ამაზე, იმიტომ, რომ შენთვის კაცობა, პატიოსნება, შენი საქმის სიყვარული და პრესტიჟი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ფული, და ასე ფიქრობს ალბათ ყველა ოზურგეთელი, ვინც შენ და შენს ოჯახს იცნობდა.

ბარაქალა შენს პატიოსნებას და კაცობას. გეშვიდობება შენი თითო-ოროლა შემორჩენილი მეგობარი.

მომავალ შეხვედრამდე ჩემო ძმაო თამაზ, ალბათ სამოთხეში.

არსენ კეჭაყმაძე.
ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება დამსახურებული ჟურნალისტის, ღირსების ორდენის კავალერის, გაზეთ „ალიონის“ ყოფილი რედაქტორის **თამაზ სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება გაზეთის ყოფილი რედაქტორის **თამაზ ივანეს ძე სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის, დამსახურებული ჟურნალისტის **თამაზ სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი, დიდებული პიროვნება **თამაზ სალუქვაძე** და უსამძიმრებს მის ოჯახს.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაცია იუწყება ცნობილი ჟურნალისტის და პუბლიცისტის **თამაზ სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

კურთხეული მენაპირე

„დავუბარებ ყველა ქართველს
მისი წმინდა ვალი არის,
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
დერბენდი და დარიალი.“

ირაკლი აბაშიძე

შუა საუკუნეების საქართველოს გარს მენაპირეები ერტყნენ, რომლებიც ძილფხიზლად იღვწოდნენ და საგარეო მტერთა მცირეოდენ მანევრებსაც კი არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. ერთ-ერთი სამენაპირეო ცენტრი ფანასკეტი გახლდათ, სადაც ფანასკეტელი მენაპირე მბრძანებლობდა, მეორე–გაგი (გაგელი მენაპირის სამკვიდრო) და ა.შ.

დროთა ცვლილებამ მენაპირეობის ინსტიტუტიც გადაიყოლა, მაგრამ მისი როლი ქვეყნის დაცვაში მაინც წარუშლელი დარჩა.

ახალ ხანაში მენაპირეთა ამოცანები ბრწყინვალედ ჰქონდა შეცნობილი საქართველოს ჩრდილოეთის საზღვართან მოღვაწე მწერალსა და ჟურნალისტს თამაზ სალუქვაძეს, რომელიც არწივის მზერით დასტრიალებდა თავს დარიალსა და ყიზლარს.

მისი ღვაწლი ამ მხრივ დიდი და დასაფასებელია.

მოგვიანებით მისი მაღალი გონიერების მადლი შუა გურიასაც ფართოდ გადაწვდა. წლების განმავლობაში იგი დიდი წარმატებით უძღვებოდა ოზურგეთის სარაიონო გაზეთ „ალიონს.“ ადვილი როდი გახლდათ დიდი წინამორბედის, ბატონ აფთონ გურგენიძის მემკვიდრეობის ღირსეული გაძღოლა, მაგრამ ბატონმა თამაზმა, თავის უზადო ნიჭის წყალობით, ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა.

თამაზ სალუქვაძემ ჩინებულად განაგრძო და აამაღლა ის პოეტური ტრადიციებიც, რომელიც მარად კეთილად მოსაგონარმა მისმა მამამ, ვანო სერელმა დანერგა თავის დროზე.

იყო შესანიშნავი სატირიკოსიც. ბატონი თამაზის საამო ჩანაწერებს არასდროს გაუვათ ყავლი და ყოველთვის გაახალისებენ მის მკითხველებს.

დიდი ეპოქის ღირსეული შვილი მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და დიდი ნიჭიერებით აწესრიგებდა მის წინაშე დასმულ ურთულეს საკითხებსაც კი. ნოდარ დუმბაძის, გიზო ნიშნიანიძის, შოთა ჩანტლაძის, მუხრან მაჭავარიანის, ზაურ ბოლქვაძისა და მრავალ სხვა წარჩინებულ მესიტყვეთა თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელისა და შესანიშნავი მამულიშვილის ხსოვნას დროთა ცვალებადობა და ჭირვეულობა ვერაფერს ააკლებს და სახელოვან შემოქმედსა და მენაპირესაც ყოველთვის გამორჩეულ პატივს მიაგებს.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

გია სარჯველაძის მოგონება



მეშვიდედ მოდის უბედური დედისთვის შენი გარდაცვალების დღე – 12 ივლისი. ამ მოგონებას შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გითვლი: - ძაფი ჩვენი დედაშვილობისა არ გაწყდება. შენ მუდამ ჩემთან ხარ, ვერ გეხები, მაგრამ მუდამ ვგრძნობ ჩვენ ტკივილიან ურთიერთობას, შენს ღიმილს. მუდამ მესმის შენი საყვარელი ხმა „ნენა“.

პატიებას ვთხოვ უფალს, სულ ვეკითხები, რატომ წამართვი? შვილმკვდარ დედას სიცოცხლე მომისაჯე და გაუსაძლისი ტკივილი დამიტოვე.

მე ვამყობ შენით, კაცური კაცის სახელი დატოვე. სანამ ვარ ამ ქვეყნად, მწარე ფიქრებთან, დრო ვერასოდეს გაანელებს უშენობის მწარე ტკივილს.

საუკეთესო მეუღლე, შვილი, მამა და სამეგობრო კაცი იყავი. ზღვა ცრემლი – შენი მოგონება სიყვარულით, სინანული შენს კარგ კაცურ-კაცობაზე, დიდ ადამიანობაზე, დიდსულოვნობაზე მეტყველებს. 48 წელი იყავი ჩვენთან, ვერ გაუმკლავდი საშინელ სენს, მაპატიე რომ ვერ დაგეხმარე. სასწაულები არ ხდება თორემ ჩემს დარჩენილ წლებს სიხარულით გაჩუქებდი შვილო.

ორი წელი იცოდი საშინელი, მოურჩენელი სენი რომ გჭირდა და ყველას ეხვეწებოდი თურმე დედამ არ გაიგოსო, როგორ გეცოდებოდი, და თავად გულით ამხელა ტკივილს ატარებდი.

მოვა დრო, გამოგყვები, მოგეფერები და შენთან ყოფნით მწარე ფიქრებს სამუდამოდ დავეშვიდობები. უფალს ვთხოვ, ისმინოს დედის ვედრება, და ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი ტანჯული სული.

დედა **იზო ქარჩილაძე**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე